

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი

01 მარტი 2021 წ.

ბრძანება №01-08/03

„სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის ვადების ცვლილების შესახებ“ ბხსუ-ს რექტორის 2020 წლის 14 დეკემბრის №01-08/57 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე და 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბხსუ-ს წესდების მე-23 მუხლის მე-4 პუნქტის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების, „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების, „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 ივნისის №01-08/26 ბრძანების, „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში დისტანციური, ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 ოქტომბრის №04-01/07 დადგენილების, „ელექტრონული სწავლების მართვის ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბხსუ-ს რექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის №01-08/51 ბრძანებისა და „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 24 თებერვლის (MES 1 21 0000159323) ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის ვადების ცვლილების შესახებ“ ბხსუ-ს რექტორის 2020 წლის 14 დეკემბრის №01-08/57 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ¹¹ -¹⁴ პუნქტები:

„¹¹. „2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სასწავლო პროცესი განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე (კულტურის მენეჯმენტის, კულტურული

ტურიზმის, ხელოვნებათმცოდნეობის, ტელე-რადიო ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები, ხელოვნების მენეჯმენტისა და ხელოვნების ისტორიისა და თეორიის (ხელოვნებათმცოდნეობა) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი), გარდა პრაქტიკულ-საშემსრულებლო ხასიათის სასწავლო კურსებისა, განხორციელდეს დისტანციურ რეჟიმში.

12. 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მუსიკისა და სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამებზე, პრაქტიკულ-საშემსრულებლო სასწავლო კურსებზე, სწავლა განხორციელდეს არადისტანციურ რეჟიმში.

13. სასწავლო პროცესის ფორმატის ცვლილება განხორციელდება არსებული ეპიდვითარების გათვალისწინებით.

14. შუალედური/დასკვნითი გამოცდების ჩატარება შესაძლებელია საუნივერსიტეტო სივრცეში, დეპარტამენტებთან შეთანხმებით, სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული დროის მიხედვით.“

2. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბხსუ-ს ვებგვერდზე.

3. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება.

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბხსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეს, ფაკულტეტებს, ელექტრონული სწავლების მართვის ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის წევრებს (ბხსუ-ს რექტორის №01-08/51, 27.10.2020 ბრძანების მიხედვით) და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. № 52).

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი

მაია ჭიჭილეიშვილი